ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

სტრატეგიული გეგმა

2012 / 2015

შესავალი

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე. ჩვენ წინ ზედიზედ ოთხი არჩევნები გვაქვს ჩასატარებელი 2012 წლის საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს, 2013წ. საპრეზიდენტო და 2014 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.
ამ სამუშაოს საარჩევნო ადმინისტრაცია მომზადებული უნდა შეხვდეს. სტრატეგიული გეგმა ამ სამზადისის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში განსაზღვრულია საარჩევნო ადმინისტრაციის მისია, ხედვა, მოქმედების პრინციპები და სტრატეგიული მიზნები.

წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა გათვლილია 2012-2015 წლებზე. მისი დამტკიცების შემდეგ სამუშაო ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას უფრო დეტალური სამოქმედო გეგმის შესაქმნელად. ჩამოყალიბდება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ცესკოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სტრატეგიული გეგმის განხორციელებისა და მიმდინარეობის შესახებ.

სტრატეგიული გეგმა არის მოქნილი დოკუმენტი და მისი მოდიფიცირება შესაძლებელია ქვეყანაში არსებული რეალობის და საარჩევნო სფეროში განხორციელებული სიახლეების შესაბამისად.

იმედი გვაქვს, რომ ეს სიახლე თვისობრივად გააუმჯობესებს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას და საარჩევნო პროცესს.

ზურაბ ხარატიშვილი
თავმჯდომარე

საარჩევნო ადმინისტრაციის მისია და ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაციის მისია

არჩევნები გაიმართოს სამართლიანობის პრინციპისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და, იმავდროულად, ამომრჩევლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ სრული ნდობა არჩევნების მიმართ.

საარჩევნო ადმინისტრაციის ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაცია არის საჯარო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია განავითაროს პარტნიორული და პროაქტიული ურთიერთობა ამომრჩევლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, განამტკიცოს საზოგადოების ნდობა არჩევნების მიმართ.

საარჩევნო ადმინისტრაციის სამუშაო პრინციპები

საარჩევნო ადმინისტრაცია მოქმედებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

1. გამჭვირვალობა, საჯაროობა და ანგარიშვალდებულება;

2. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;

3. კანონის უზენაესობა.

გამჭვირვალობა, საჯაროობა და ანგარიშვალდებულება

საარჩევნო პროცესი და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა არის გამჭვირვალე, ხოლო საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის საჭირო ინფორმაცია – ღია და ხელმისაწვდომი.

საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებთან ურთიერთობისას საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს ურთიერთპატივის ცემისა და ინფორმაციის ინტენსიური გაცვლის პრინციპით.

საარჩევნო ადმინისტრაცია ფართო საზოგადოებას პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს საკუთარი საქმიანობის, სამომავლო გეგმების, მიმდინარე აქტივობების და უკვე შესრულებული სამუშაოების შესახებ

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

საარჩევნო ადმინისტრაცია არის არჩევნების დამოუკიდებელი არბიტრი, რომელიც არ იმყოფება რომელიმე პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ.

საარჩევნო ადმინისტრაცია ზრდის და უზრუნველყოფს საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხს ფინანსური, მატერიალურ ტექნიკური და ადამიანური რესურსების სტაბილურობის მიღწევის გზით.

საარჩევნო ადმინისტრაცია არ მონაწილეობს პოლიტიკურ დისკუსიებში და თავისუფალია პოლიტიკური სიმპატიებისაგან.

კანონის უზენაესობა

საარჩევნო ადმინისტრაცია თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კანონს.

სტრატეგიული მიზნები

საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს სამი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანის განხორციელებას:

მიზანი #1 – საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია;

მიზანი #2 – დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა;

მიზანი #3 – ინფორმირებული ამომრჩეველი.

მისიის შესასრულებლად



მიზანი #1 - საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია გულისხმობს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა;

მართვის გაუმჯობესება;

ადამიანური რესურსების განვითარება;

მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ტექნოლოგიური განვითარება.

ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაცია არის დინამიური, მოქნილი და კომპაქტური, რომელიც არასაარჩევნო პერიოდში უზრუნველყოფს მინიმალურ ფინანსურ დანახარჯებს, ინსტიტუციური მახსოვრობის შენარჩუნებასა და საარჩევნო პროცესის დაგეგმვას.

საარჩევნო პერიოდში ადმინისტრაცია იშლება ორგანიზებულად (იმატებს ადამიანურ რესურსებსა და სტრუქტურულ ერთეულებს) და ახორციელებს არჩევნების ადმინისტრირებას ეფექტური შიდა კომუნიკაციის მექანიზმის გამოყენებით.

1.2. მართვის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა სამსახურების ფუნქციები შეესაბამება მის შესაძლებლობებს, არის მკვეთრად გამიჯნული და დეტალიზებული.

მიზანი მიიღწევა პროექტების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვით, რომლის კომპონენტებია: ორგანიზაციული სტრუქტურის მოქნილობის თვისობრივი ზრდა, ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია, საარჩევნო ციკლის ხარისხისა და რისკების მართვის სისტემების შემუშავება და ეტაპობრივი დანერგვა, ასევე ელექტრონული ადმინისტრირებისა და პერიოდული ანგარიშგების პროცედურების შექმნა.

1.3. ადამიანური რესურსების განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობენ კომპეტენტური ადამიანები, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ადამიანური რესურსების მოზიდვა ხორციელდება სამართლიანი კონკურენციის პირობებში პოლიტიკური, გენდერული, ეთნიკური, თუ სხვა ნებისმიერი ნიშნით უპირატესობის მინიჭების გარეშე.

ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობის ასამაღლებლად მიზანშეწონილია პროფესიული ეთიკის ელემენტების გაძლიერება, წახალისების სისტემის დამკვიდრება, ფუნქციების დეტალიზება, შეფასების სისტემის ჩამოყალიბება; სავალდებულო ტრენინგების, სერტიფიცირების, დისტანციური და ელექტრონული სწავლების მეთოდების დანერგვა.

1.4. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაცია აღჭურვილია სათანადო მატერიალურ ტექნიკური ბაზით, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესების ეფექტურ მართვას, სწრაფ შიდა და გარე კომუნიკაციას.

მნიშვნელოვანია საოლქო საარჩევნო კომისიების სამუშაო პირო

ბების გაუმჯობესება, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობებიდან მათი გადაყვანა და ახალი ოფისების მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

1.5. ტექნოლოგიური განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს ინტერნეტ ტექნოლოგიებს შიდა კომუნიკაციაში, ამომრჩევლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში. ამასთან სოციალური ქსელები განიხილება, როგორც ამომრჩეველთა განათლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენების არეალი მუდმივად მზარდია.

მიზანი #2 - დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა

დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაცია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გენერირებასა და დაინტერესებული მხარეებისათვის დაუყოვნებლივ მიწოდებას.

საარჩევნო ადმინსტრაციისა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთობა ეყრდნობა ურთიერთპატივისცემისა და ინფორ მაციის ინტენსიური გაცვლის პრინციპებს.

ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა გულისხმობს შემდეგი საკი თხების გადაწყვეტას:

საკომუნიკაციო არხების განვითარება;

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის განვითარება.

2.1. საკომუნიკაციო არხების განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ეფექტური საკომუნიკაციო არხების განვითარებას. ძალისხმევის გაერთიანებისა და საქმიანობის კოორდინირების მიზნით ის მუდმივად აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციის გეგმებისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე, ქმნის პირობებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები და შეფასებები საარჩევნო პროცესების, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაცია, დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობის მიზნით იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებას (მედია, სოციალური ქსელები, ვებ გვერდი, პირდაპირი კავშირები) და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას (საკონსულტაციო საბჭო, სხვადასხვა სახის ერთობლივი აქციები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები და სხვ.).

დაინტერესებული მხარეები

2.2. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის განვითარება

საარჩევნო პროცესის ყველა სტადიაზე საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ გაცვლას დაინტერესებულ მხარეებთან.

მედიასაშუალებებთან ადმინისტრაციას აქვს მუდმივი კონტაქტი, აწვდის სიახლეებს და თვალყურს ადევნებს მედიაში გასულ ინფორმაციებს.

დამკვირვებლებთან კომუნიკაციისას საარჩევნო ადმინისტრაცია ატარებს ინფორმაციის გაცვლის ინტენსიურ პოლიტიკას და აქვს მათთან პარტნიორული ურთიერთობა.

პოლიტიკურ სუბიექტებთან ადმინისტრაცია საარჩევნო მოქმედებს მრავალმხრივი კომუნიკაციის რეჟიმში, მათთან ურთიერთობა საჯარო და გამჭვირვალეა.

ამომრჩევლებთან ურთიერთობაში ადმინისტრაცია იყენებს ყველა მედიასაშუალებას, ინტერნეტ სივრცეს, სოციალურ ქსელს, რეგიონულ რესურს ცენტრებს.

სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად განსაზღვრავს საქმიანობის პრიორიტეტებს და მათი გათვალისწინებით თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ მიმართულებით უპირატესობა ენიჭება კომუნიკაციისა და შესაძლებლობების განვითარებას.

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის მიზანია ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება, აგრეთვე საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება.

სხვა საჯარო დაწესებულებებთან ურთიერთობისას საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის პრინციპით და საჭიროებისამებრ ახდენს მათ ჩართვას საარჩევნო პროცესის ორგანიზებაში.

მიზანი #3 - ინფორმირებული ამომრჩეველი

საარჩევნო ადმინისტრაცია ზრუნავს ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის გაღრმავებაზე, ამასთან, ხელს უწყობს ამომრჩეველთა აქტივობის ზრდასა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

საარჩევნო ადმინისტრაცია ინტენსიურად იყენებს ამომრჩეველთა ინფორმირების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის, ვებ გვერდს, სოციალურ ქსელებს, სამოქალაქო განათლებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აქტიური ამომრჩევლების ქსელებს. ამასთან, ქმნის და ახორციელებს სამოქალაქო განათლებასა და საარჩევნო კულტურის გაღრმავებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია ატარებს მიზნობრივ სამუშაოს ეთნიკურ უმცირესობებთან, მოწყვლად ჯგუფებთან, ახალგაზრდებთან და ქალებთან მათი საარჩევნო და სამოქალაქო აქტივობის გაზრდის მიზნით.

ამომრჩეველთა ჯგუფები



საარჩევნო ადმინისტრაცია ხელს უწყობს შესაბამის სამოქალაქო აქტივობებს, აქტიურად უჭერს მხარს დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელებულ იმ პროექტებს, რომლებიც საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებას უკავშირდება.

საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად საქმიანობს რეგიონებში, სადაც ძირითად დასაყრდენად იყენებს რეგიონულ რესურს ცენტრებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამომრჩეველთათვის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სხვა სერვისების მიწოდებას.

მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები

მოდერნიზაცია	მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა	ინფორმირებული ამომრჩეველი
მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურა	დახვეწილი საკომუნიკაციო არხები	ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა
ეფექტური შიდაკომუნიკაცია	ინფორმაციის სწრაფი და მუდმივი გენერირება	საარჩევნო კულტურის ამაღლება
გამიჯნული და დეტალი ზებული ფუნქციები	მხარეთა ჩართულობა და ურთიერთ პატივისცემა	ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობა
საქმიანობა პროექტების მართვის საფუძველზე	ინფორმაციის უწყვეტი გაცვლა	სამოქალაქო განათლებასა და საარჩევ ნო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენ ტირებული პროექტების წახალისება
შიდა ანგარიშგების დამკვიდრება	თანამშრომლობის გარემო	ამომრჩეველთა განათლების პროგრამების შექმნა
კვალიფიციური კადრები		
სამართლიანი კონკურსები		
შეუბღალავი პროფესიული ეთიკა		
გაუჯობესებული სამუშაო გარემო		
ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება		